პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 113 (4107)

1970 წ. 11 ივნისი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲦᲔᲡ

გაიმართება მესამე ტურის კიდევ 4 მატჩი: მექსიკა — ბელგია, ისრაელი — იტალია, ინგლისი — ჩეხოსლოვაკია, გულგარეთი — მაროკო.

●●

ᲢᲔᲚᲔᲠᲔᲙᲝᲠᲢᲐᲥᲘ

მეხიკოდან: სსრ კავშირი — სალვადორი, 20 ს და 30 წ. (ჩანაწერი).

ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ, ᲣᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲐᲜᲐᲓ, ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲓ...

ფეხბურთელთა IX მსოფლიო ჩემპიონატმა „ეკვატორი“ გადალახა. ჩატარდა 32 დაგეგმილი მატჩის ზუსტად ნახევარი. წინასწარი თამაშების მესამე დასკვნითი ტურის წინ, სადაც მეოთხედფინალის ყველა მონაწილის ვინაობა გაირკვევა, მხოლოდ გფრ-ისა და პერუს გუნდებს შეუძლიათ თავი მშვიდად იგრძნონ: ისინი ხომ ვადამდე მოხვდნენ რვა უძლიერესის რიცხვში. მაგრამ ეს სიმშვიდე შეფარდებითია. აღარას ვამბობთ იმის შესახებ, რომ პერუელ და დასავლეთგერმანელ ფეხბურთელებს შეჯიბრების პირველ ეტაპზე ერთმანეთთან მოუწევთ შეხვედრა.

პერუს გუნდის მწვრთნელმა ვალდირ პერეირა — დიდიმ და გფრ-ის ნაკრების მწვრთნელმა ჰელმუტ შონმა შეთანხმებულივით ერთხმად განაცხადეს: მეოთხედფინალში ბრაზილიელებთან შეხვედრას არ ვისურვებდითო. საქმე ისაა, რომ გუნდი, რომელმაც II ადგილი დაიკავა ამ ჯგუფში, გვადალახარას ჯგუფში გამარჯვებულთან ითამაშებს. ეს გამარჯვებული კი ალბათ ბრაზილია იქნება. ერთი სიტყვით, პერუსა და გფრ-ის გუნდები მაინცდამაინც კარგ დღეში ვერ არიან.

თუმცა ჯგუფებში მესამე ტური ჯერ კიდევ არ ჩატარებულა, ზოგიერთი დასკვნის გამოტანა ახლაც შეიძლება, რადგან გუნდების უმეტესობამ უკვე გამოავლინა თავისი ხასიათი, გამოამჟღავნა თავისი გეგმები:

— წლევანდელმა ჩემპიონატმა მეტი ტემპერამენტით აიღო სტარტი. თამაშები ოთხივე ჯგუფში უფრო შინაარსიანი გამოდგა წინა პირველობასთან შედარებით, — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უფროსმა ანდრეი სტაროსტინმა. — მე ვფიქრობ, აქ გარკვეულ როლს თამაშობს ფეხბურთელთა უკეთესი ფიზიკური მომზადება. მიუხედავად მექსიკის სპეციფიკური პირობებისა, გუნდების უმეტესობა უკეთ თამაშობს. რასაკვირველია, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ მაღალმთიანეთის პირობები. მაგრამ ყველა მონაწილემ წინასწარვე იცოდა, რა ელოდა მექსიკაში, და შესაბამისად მოემზადა კიდეც. ახე რომ,

(დასასრული მე-8 გვ.).

მექსიკის დედაქალაქში ფეხბურთელთა IX ჩემპიონატის დაძაბული დღეები დგას. ახლა აქ ყველაფერი საფეხბურთო ბატალიებს ეძღვნება. მეხიკოს ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე დგას უზარმაზარი ბეტონის ფეხბურთის ბურთი — გადიდებული ახლი ნამდვილი ბურთისა, რომელზეც ასპარეზობის დამთავრებამდე მილიონობით გულშემატკივრის ყურადღებაა მიჯაჭვული. მსოფლიო ჩემპიონატის თამაშებისთვის ერთ-ერთმა დასავლეთგერმანულმა ფირმამ საგანგებოდ დაამზადა 500 ფეხბურთის ბურთი. ფირმის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ბურთები „ფოტოგენურია“ და მშვენიერი სანახავიცაა ტელევიზორის ეკრანებზე.

სურათზე: ბეტონის ბურთი მეხიკოს ერთ-ერთ მოედანზე.

ფოტო „აკტუელტ“—აახ-ისა.

5-5 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘ ᲓᲐᲘᲙᲚᲔᲡ

მას შემდეგ, რაც ინგლისის ნაკრები დამარცხდა ბრაზილიელებთან პრინციპულ და პასუხსაგებ მატჩში, მეოთხედფინალში მსოფლიო ჩემპიონის გასვლის შანსები საგრძნობლად შემცირდა. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დამთავრდება ნისლიანი ალბიონის ფეხბურთელთა ორთაბრძოლა ჩეხოსლოვაკიელებთან, გუნდთან, რომელსაც სპეციალისტთა ერთი ნაწილი ტურნირის დაწყებამდე დიდი იმედებით შეჰყურებდა და რომელსაც ერთ-ერთ საპრიზო ადგილსაც კი უწინასწარმეტყველებდა.

ინგლისელ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ მექსიკის ტროპიკულმა ხიცხემ მსოფლიო ჩემპიონს მთლიანად „აურია გზა-კვალი“. ნაკრების წევრებმა ჩემპიონატის დაწყების შემდეგ წონაში საშუალოდ 5-5 კილოგრამი დაიკლეს.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მონაწილეობა მეოთხედფინალში ეჭვსგარეშეა, ამიტომაც ბრაზილიელებს უფლება აქვთ დაასვენონ ძირითადი მოთამაშეები და ასპარეზი დროებით ახალგაზრდებს დაუთმონ. კორესპონდენტებთან საუბარში მწვრთნელმა ზაგალომ განაცხადა, რომ რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ შესაძლოა არ ითამაშონ ჟაირზინიმ, პელემ, რიველინომ და ჟერსონმა. ეს კი, ალბათ დაგვეთანხმებით, ერთი მთლიანი გუნდია.

ინგლისის ნაკრებს ქვეჯგუფის ბოლო მატჩში მთელი თავისი მაღალი ოსტატობის გამოვლინება დასჭირდება, რათა ოქროს ქალღმერთისთვის ბრძოლას შემორჩეს. რამსეი თვლის, რომ [illegible] გუნდთან მატჩში „მსოფლიო ჩემპიონმა უნდა გამოიყვანოს მაქსიმალურ შესაძლებლობათა გუნდი“.

მექსიკის პრესა აჯამებს ჩემპიონატის პირველი ორი წრის შედეგებს და აღნიშნავს, რომ ჯარიმებმა საკმაოდ სახიფათო ფორმები მიიღო. ის ფაქტი, რომ ყოველი საჯარიმო დარტყმის შემდეგ გოლი საკმაოდ ადვილად გადის, იმასაც ნიშნავს, რომ გაიშვიათებულმა ჰაერმა მექსიკის მთიანეთში დარტყმის ძალა ერთიორად გაზარდა. საბუთად ჟურნალისტებს მოჰყავთ პირველი ტურის მაჩვენებლები: 20 გოლიდან 4 საჯარიმო დარტყმის შედეგად გავიდა და კიდევ ერთი— პენალტით.

● რაც არ უნდა თქვან სპეციალისტებმა ინგლისის ნაკრების მარცხზე ბრაზილიასთან, სუვერენული გულშემატკივრებისთვის ნათელია ერთი: ყველაფერში ბრალი მიუძღვის ლეკვი უინსტონის ავადმყოფობას, რომლის გამოჯანმრთელებას ვერც აბებმა უშველა და ვერც ცხელმა რძემ. უინსტონი ინგლისის ნაკრების თილისმაა და მატჩის დროს სასტუმროში იყო გამოკეტილი.

● ათასობით მექსიკელმა დააგვიანა სამუშაოზე მათი გუნდის სალვადორის ნაკრებზე გამარჯვების მეორე დღეს. საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ამ ამბავისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ: ყველა ზეიმობდა თავიანთ ფეხბურთელთა გამარჯვებას. მაგრამ მოდა ტრაგიკული ამბავიც: მექსიკის დედაქალაქის ერთ-ერთმა მცხოვრებმა სასიკვდილოდ დაჭრა კარის მეზობელი, რომელსაც გაუბედავს და უთქვამს, რომ მექსიკას არ მიუღწევია მნიშვნელოვანი გამარჯვებისთვის. სალვადორის გუნდი ლიმონის ხიდან თავისი ნებით ჩამოვარდნილ ნაყოფს ჰგავდაო.

● ერთბაშად 3 ბავშვი დაებადა შაქრის ლერწმის მჭრელ არმადო ჰიმენესს. ქ. კორდოვის საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალმა ტყუბ გოგონებს დაარქვა: ბრაზილია, ინგლისი, იტალია.

● სალვადორელ ფეხბურთელებთან მექსიკის ნაკრების გამარჯვებამ ადგილობრივ მკვიდრთა უდიდესი სიხარული გამოიწვია. დედაქალაქში გაიმართა ახალგაზრდების 10-ათასიანი სადღესასწაულო სვლა, რომელმაც 4 საათით შეწყვიტა ტრანსპორტის მოძრაობა. ერთადერთი, რამაც გული დაწყვიტა დედაქალაქის ხელისუფლებს, იყო სასტუმრო „მარია ისაბელის“ თავზე დადგმული 5-მეტრიანი ბურთის გატაცების ამბავი. პოლიციის წარმომადგენლები გულს იმშვიდებდნენ: ვეებერთელა ემბლემას მალე დააბრუნებენ. ასეთი ზომის ბურთით თამაში ან სუვენირად შენახვა ხომ წარმოუდგენელიაო.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

საფრანგეთის ღია ჩემპიონატში დიდი წარმატება მოიპოვა ჩეხოსლოვაკიელმა ჩოგბურთელმა ი. კოდეშმა. იგი „როლან გაროს“ კორტებზე შეუდარებელი იყო და აკი პირველობაც მოიპოვა. კოდეშმა ფინალური შეხვედრა ბოიგო იუგოსლავიელ ზ. ფრანულოვიჩთან — 6:2, 6:4, 6:0. დღეს კოდეში და მისი თანაგუნდელები მოსკოვში დევიზის თასის პროგრამით გამართულ მატჩში შეხვდებიან სსრ კავშირის ნაკრებს. მატჩი სამ დღეს გასტანს — 11, 12 და 13 ივნისს. პირველი ორთაბრძოლები შეგიძლიათ დღეს ტელევიზიით ნახოთ. დასაწყისი დღის 15 საათზე (თბილისის დროით).

ახლა კი დავუბრუნდეთ „როლან გაროს“ კორტებს. ქალთა ერთეულების ფინალში ავსტრალიელმა მ. სმით-კურტმა დაამარცხა დასავლეთგერმანელი ჰ. ნისენი — 6:2, 6:4. ვაჟთა წყვილებში იმარჯვეს რუმინელებმა — ი. ციერიაკმა და ი. ნესტასემ. მათ ფინალური მატჩი მოუგეს ამერიკელებს — ა. ეშს და ჩ. პასარელს — 6:2, 6:4, 6:3. ქალთა წყვილების ფინალი ფრანგებმა — გ. შანფრომ და ფ. დიურმა მოუგეს ამერიკელებს — რ. კაზალსსა და ბ.-ჯ. კინგს — 6:1, 3:6, 6:3. შერეულ წყვილებში ჩემპიონები გახდნენ ბ.-ჯ. კინგი და რ. ჰიუიტი. მათ დაამარცხეს ფრანგები — ფ. დიური და ჟ.-კ. ბარკლაი — 3:6, 6:4, 6:2.



სსრ კავშირის პირველობა



9 ივნისს მოსკოვში შედგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ადგილობრივმა „ტორპედომ" ფიზიკოს ოდესის „ჩერნომორეცი". მოსკოველებმა გაიმარჯვეს—2:0.



II ზონა

9 ივნისს შედგა მორიგი ტურის მატჩები „ა" კლასის II ჯგუფის II ზონის ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

ბათუმის „დინამოს" გასვლითი მატჩი ჰქონდა ზონის ერთ-ერთ ლიდერთან — ტაგანროგის „ტორპედოსთან". ბათუმელებმა ფრედ ითამაშეს — 1:1.

„კარპატი" ჯოგდა



თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 9 ივნისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „კარპატი" (ლვოვი) 0:2 (0:1).

„ლოკომოტივი": ბერიძე, მირიანაშვილი (გოგიჯანაშვილი), პაინოვი, ფრიდმანი, ფილია, ძაგანია, ქელეხიძე, შაზიაშვილი, შხვაცაბაია (ბაბტაძე), ხუციშვილი, ჭელიძე (ყიფიანი).

„კარპატი": ვაიდა, გერეგი, პოტოჩნიაკი, სარაბინი (პოკორა), სიროვი, ბროვკარსკი, დანილიუკი, საკა, გაბოვდა (გრეშჩაკი), კულჩიცკი, ლიხაჩოვი.

მსაჯი ა. კიკკო (ლენინგრადი).

თბილისის „ლოკომოტივს" ზედიზედ ორმა მძიმე მატჩმა მოუწია თავის მინდორზე. დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" თავისთავად ძლიერი გუნდია და ახლა, როცა ერთპიროვნული ლიდერის როლში გვევლინება, რა თქმა უნდა, ასე იოლად არავის გაატანს ქულას, თუნდაც გასვლაზე მოუწიოს თამაშშა. ამიტომ „დნეპრმა" აიღო კიდეც თბილისში 2 ქულა.

სსრ კავშირის თასის შარშანდელ მფლობელს — „კარპატის" გათამაშების დასაწყისში ვერ ჰქონდა მთლად სახარბიელოდ საქმე, მაგრამ ახლა მისი მდგომარეობა გამოსწორდა, გუნდმა ხუთეულში დაიმკვიდრა ადგილი და მატჩებს მაქსიმალური ენერგიით, სრული მონდომებით ატარებს. ლვოველებმა, მაგალითად, დაამარცხეს კიევის ასკ, რიგის „დაუგავა", 2 ქულა აიღეს ხარკოვსა და კრასნოდარში. ახლა კი ამ აქტივს კიდევ 2 ქულა დაუმატეს თბილისში.

რა შეიძლება ითქვას განვლილ მატჩზე? იგი საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა, სტუმრები ყურადღებას იპყრობდნენ კარგად დაგეგმილი, მოფიქრებული ურთიერთმოქმედებით, გაშლილი შეტევით, სწრაფი ფლანგური გარღვევებით და ბურთის შემდგომი გადაყვანით ცენტრში, სადაც იერიშის დასამთავრებლად ყოველთვის გადიოდა 2-3 მოთამაშე. რასკვირველია, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ „კარპატი", როგორც სსრ კავშირის თასის მფლობელი, შეძლებს წარმატებით დაიცვას ჩვენი ფეხბურთის პრესტიჟი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში, მაგრამ გუნდი „ლოკომოტივთან" შეხვედრაში საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

თბილისელები ისევ ვერ იდგნენ საიერიშეების და სახიფათო მომენტებისა, პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია — 0:0. სტუდენტებმა შესვენების შემდეგ გააძლიერეს შეტევა და ვაწაძემ კარგად გამოიყენა „სალხინოს" კართან მოწოდებული კუთხური ბურთი — 1:0.

● **ასკ (თბილისი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 2:2. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

არმიელ კარაპეტიანის მიერ მე-2 წუთზე გატანილი ბურთი პირველ ტაიმშივე გაქვითა კვარაცხელიამ. და, მალე, კოკაისს მიერ ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ წინ უკვე „სპარტა" — 2:1. თბილისელებმა თავგამოდებით იბრძოლეს და მაჩხაშვილმა საბოლოოდ შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 2:2.

● **„ქართლი" (გორის რაიონი)— „ეგრისი" (ცხაკაია) 2:1. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).**

გორელი ფეხბურთელები ბოლო ტურებს შეხვედრებს ატარებენ დიდი მონდომებით, აქტიურად, რისი ნათელი დამადასტურებელია 6 აღებული ქულა 8 შესაძლებლიდან. „ქართლმა" ასევე ენერგიულად ითამაშა ისეთ ძლიერ მოწინააღმდეგესთან, როგორიც არის „ეგრისი". პირველი ტაიმი მოიგეს მასპინძლებმა (რევაზიშვილი). ეს გოლი მე-60 წუთზე გაქვითა დარასელიამ, მაგრამ მატჩის დასასრულს რევაზიშვილმა კვლავ ისახელა თავი და გადამწყვეტი ბურთი გაიტანა შეტოქის კარში. აღსანიშნავია კალანდაძის მაღალკვალიფიციური მსაჯობა.

● **„ფეიქარი" (წულუკიძე) — „სინათლე" (თბილისი) 0:0. მსაჯი ს. კონდახსაზოვი (თბილისი).**

● **„ხამცხე" (აწყური) — „გიგანტი" (ლაითურა) 2:1. მსაჯი გ. გუჯაბიძე (ფოთი).**

აწყურელი რეზვიაშვილის მიერ გატანილი გოლი მალე გაქვითა ჭელიძემ. მეორე ტაიმში „სამცხემ" კიდევ უფრო გააძლიერა თამაში და გამარჯვებასაც მიაღწია — 2:1 (გოლი გაიტანა სუხაშვილმა), თუმცა ანგარიში შეიძლება მეტიც ყოფილიყო, რომ აწყურელებს ზუსტად შეესრულებინათ 11-მეტრიანი დარტყმა.

● **„ლოკომოტივი" (სამტრედია) — „მალაროელი" (ჭიათურა) 8:0. მსაჯი ა. კვერნაძე (ჩხოროწყუ).**

● **„მზიური" (გალი) — „ისანი" (თბილისი) 0:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (ხაშური).**

● **„მესხეთი" (ახალციხე) — „ენგური" (ზუგდიდი) 3:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).**

II ჯგუფი. I ზონა. „გარისი" (თეთრი წყაროო) — „არაგვი" (დუშეთი) 2:2, „მევენახე" (ბოლნისი) — „აბული" (ახალქალაქი) 2:0, „დურუჯი" (ყვარელი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 0:3, „ვარძია" (ასპინძა) — „შევარდენი" (თბილისი) 3:1, „მევენახე" (ვაზისუბანი)— „მშენებელი" (წალკა) 1:0, „სპარტაკი" (რუსთავი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 0:0. ახმეტის „ბახტრიონს" წაგება ჩაითვალა წითელი წყაროს „შირაქთან".

II ზონა. „განთიადი" (აბაშა) — „დინამო" (ქუთაისი) 2:2, „კოლმეურნე" (ქედა) — „ივერია" (ხაშური) 0:1, „ჭოროხი" (ბათუმი) — „კოლხეთი" (ხობი) 2:1, „სამეგრელო" (ზუგდიდი) — „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) 1:1, „მექანიკოსი" (სამტრედია) — „ნიხურა" (საჩხერე) 4:3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

ორი წრის შემდეგ

„დინამო" (თბილისი)

ჩვენი კალათბურთელები სატურნირო ცხრილში VI ადგილზე იმყოფებიან. დინამოელებმა 12 შეხვედრა მოიგეს, 10 — წააგეს (ბურთების შეფარდება 1749—1791).

	მ.	წ.	ჯ.	ქ.
1. უგრეხელიძე	22	490	56	293
2. ბოლქვაძე	21	566	67	213
3. ქორქია	17	487	42	213
4. საკანდელიძე	18	552	37	207
5. მოსეშვილი	17	365	27	178
6. ა. ლეკავა	18	361	57	155
7. სხიერელი	18	383	68	146
8. მაღალაშვილი	18	289	44	128
9. ჩიხლაძე	21	411	63	113
10. ნარიმანიძე	22	468	70	63
11. ფიცხელაური	10	79	20	19
12. ვასიუტინსკი	3	11	5	10
13. ქარაბაკი	3	17	5	5
14. ბუიღლიშვილი	1	6	2	3
15. ქუთათელაძე	1	3	0	3

„დინამო" (მოსკოვი)

მოსკოველებსაც იმდენი ქულა აქვთ, რამდენიც თბილისის თანაკლუბელებს — 12, მაგრამ დედაქალაქის კალათბურთელებმა ერთი შეხვედრით ნაკლები ჩაატარეს (მათ სათამაშო დარჩათ მეორე წრის მატჩი ცსკა-სთან). „დინამოს" ბურთების ასეთი შეფარდება აქვს: 1730—1681.

	მ.	წ.	ჯ.	ქ.
1. ბალაშოვი	21	591	88	318
2. სოკოლოვი	19	476	64	226
3. სოლოგუბი	16	428	65	208
4. პეტროვი	13	327	45	177
5. იზბიცკი	21	354	58	174
6. ზასტუხოვი	14	417	48	153
7. ავრაამოვი	21	538	51	142
8. ცინმანი	21	479	68	121
9. გოლუბკოვი	19	202	41	74
10. ნიკიტინი	7	134	19	47
11. სუჩკოვი	12	86	31	29
12. აპოლონინი	10	88	18	27
13. შალამოვი	8	59	18	17
14. იასტრებოვი	7	55	13	17

ასკ (კიევი)

უკრაინელი კალათბურთელები გათამაშების ცხრილში VIII ადგილზე იმყოფებიან. 22 თამაშში მათ მხოლოდ 8 შეხვედრა მოიგეს და 14-ჯერ დატოვეს მოედანი დამარცხებულებმა. არმიელებს გატანილი და მიღებული ბურთების უარყოფითი ბალანსი აქვთ — 1590—1622.

	მ.	წ.	ჯ.	ქ.
1. ნოვიკოვი	19	526	73	265
2. პოგულიაი	22	709	88	253
3. სალუხინი	22	694	84	246
4. ოკინჩიკი	22	597	92	225
5. ეგოროვი	22	500	80	196
6. სუშაკი	22	362	71	146
7. რაძიევსკი	16	265	50	63
8. ვოლკოვი	10	147	20	47
9. ბრიანცევი	8	178	30	42
10. პინჩუკი	10	81	25	32
11. ნიკოლაევი	20	260	53	32
12. დერბენცევი	4	18	2	15
13. პოროხნენკო	4	14	0	11
14. არხიპოვი	5	30	11	11
15. მანსუროვი	7	23	4	5
16. დეტიუკი	1	7	0	1

შენიშვნა: მ. — მატჩი, წ.— წუთი, ჯ. — ჯარიმა, ქ. — ქულა.

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

● **„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „იმერეთი" (თერჯოლა) 3:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).**

მატჩი ძალზე საინტერესო გამოდგა და გოლებიც საკმარისად იქნა გატანილი. პირველი წარმატება წილად ხვდათ სტუმრებს (ტროიანი), რის შემდეგ „მეტალურგმა" რამდენიმე საპასუხო იერიში განავითარა და გლინიანოვმა გაქვითა გოლი — 1:1. თერჯოლელები შესვენების შემდეგ კიდევ ერთხელ დაწინაურდნენ, მაგრამ კაპანაძემ და კიკნაველიძემ ძნელი გამარჯვება მოუტანეს ზესტაფონელებს.

● **„ცისკარი" (სილნადი)— „ვარკეთილი" (გარდაბანი) 1:1. მსაჯი უ. ძნელაძე (თბილისი).**

● **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ხალხინო" (ბეგეჯკორი) 1:0. მსაჯი ბ. ცხაკაია (თბილისი).**

მიუხედავად ხშირი ორმხრივი გატანილი გოლი მალე გაქვითა ჭელიძემ. მეორე ტაიმში „სამცხემ" კიდევ უფრო გააძლიერა თამაში და გამარჯვებასაც მიაღწია — 2:1 (გოლი გაიტანა სუხაშვილმა), თუმცა ანგარიში შეიძლება მეტიც ყოფილიყო, რომ აწყურელებს ზუსტად შეესრულებინათ 11-მეტრიანი დარტყმა.

● **„ლოკომოტივი" (სამტრედია) — „მალაროელი" (ჭიათურა) 8:0. მსაჯი ა. კვერნაძე (ჩხოროწყუ).**

● **„მზიური" (გალი) — „ისანი" (თბილისი) 0:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (ხაშური).**

● **„მესხეთი" (ახალციხე) — „ენგური" (ზუგდიდი) 3:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).**

II ჯგუფი. I ზონა. „გარისი" (თეთრი წყაროო) — „არაგვი" (დუშეთი) 2:2, „მევენახე" (ბოლნისი) — „აბული" (ახალქალაქი) 2:0, „დურუჯი" (ყვარელი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 0:3, „ვარძია" (ასპინძა) — „შევარდენი" (თბილისი) 3:1, „მევენახე" (ვაზისუბანი)— „მშენებელი" (წალკა) 1:0, „სპარტაკი" (რუსთავი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 0:0. ახმეტის „ბახტრიონს" წაგება ჩაითვალა წითელი წყაროს „შირაქთან".

II ზონა. „განთიადი" (აბაშა) — „დინამო" (ქუთაისი) 2:2, „კოლმეურნე" (ქედა) — „ივერია" (ხაშური) 0:1, „ჭოროხი" (ბათუმი) — „კოლხეთი" (ხობი) 2:1, „სამეგრელო" (ზუგდიდი) — „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) 1:1, „მექანიკოსი" (სამტრედია) — „ნიხურა" (საჩხერე) 4:3.

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

მდგომარეობა 11 ივნისისთვის

	ო.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	20	11	6	3	46—16	28
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	18	11	5	2	36—19	27
„ხაშური" (წალენჯიხა)	18	9	7	2	27—12	25
„ეგრისი" (ცხაკაია)	19	10	5	4	28—15	25
„ისანი" (თბილისი)	20	7	11	2	21—15	25
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	19	8	8	3	28—17	24
„ხამცხე" (აწყური)	20	7	10	3	20—18	24
„ფეიქარი" (წულუკიძე)	19	9	5	5	25—27	23
„სინათლე" (თბილისი)	19	8	6	5	27—21	22
„მზიური" (გალი)	20	5	11	4	18—18	21
„ხალხინო" (ბეგეჯკორი)	19	6	8	5	21—19	20
„ქართლი" (გორის რაიონი)	19	5	9	5	22—23	19
„მარკეთილი" (გარდაბანი)	18	4	9	5	19—19	17
„ცისკარი" (სილნადი)	19	3	9	7	12—17	15
„ბახტრიონი" (ჩოხატაური)	19	2	11	6	16—28	15
„ენგური" (ზუგდიდი)	19	4	6	9	13—23	14
„გიგანტი" (ლაითურა)	19	3	8	8	15—29	14
„იმერეთი" (თერჯოლა)	18	3	7	8	20—24	13
ასკ (თბილისი)	18	4	5	9	17—23	13
„მალაროელი" (ჭიათურა)	19	3	6	10	20—34	12
„მუხიბელი" (ბორჯომი)	18	3	5	10	15—26	11
„მესხეთი" (ახალციხე)	19	2	5	12	15—36	9

II ჯგუფი

I ზონა

„გარეჯი" (საგარეჯო)	9	8	0	1	32—9	16
„სპარტაკი" (რუსთავი)	10	6	2	2	14—12	14
„მევენახე" (ვაზისუბანი)	9	6	1	2	22—13	13
„ჰერეთი" (ლაგოდეხი)	10	3	6	1	17—12	12
„მშენებელი" (წალკა)	10	5	2	3	13—10	12
„შარძია" (ასპინძა)	8	5	1	2	14—7	11
„მევენახე" (ბოლნისი)	10	4	3	3	18—16	11
„შევარდენი" (თბილისი)	9	5	1	3	14—12	11
„აბული" (ახალქალაქი)	10	3	2	5	18—17	8
„დურუჯი" (ყვარელი)	9	4	0	5	12—11	8
„შირაქი" (წითელი წყაროო)	9	3	1	5	8—14	7
„არაგვი" (დუშეთი)	9	1	3	5	12—19	5
„გარისი" (თეთრი წყაროო)	10	1	3	6	12—21	5
„ბახტრიონი" (ახმეტა)	9	1	2	6	6—12	4
„არაგვი" (მცხეთა)	9	1	1	7	12—34	3

II ზონა

	ო.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ივერია" (ხაშური)	9	5	2	1	9—2	12
„ჭოროხი" (ბათუმი)	9	5	1	2	11—5	11
„კოლხეთი" (ხობი)	9	4	3	1	10—5	11
„კოლმეურნე" (ჩხოროწყუ)	9	2	7	0	8—5	11
„ოდიში" (ზუგდიდი)	7	3	2	2	7—6	8
„დინამო" (ქუთაისი)	8	3	2	3	5—5	8
„სირმე" (მაიაკოვსკი)	8	3	1	4	6—6	7
„ნიხურა" (საჩხერე)	9	3	1	5	11—12	7
„განთიადი" (აბაშა)	9	2	3	4	8—12	7
„ბანახლება" (ადიგენი)	8	3	1	4	6—12	7
„კოლმეურნე" (ქედა)	8	2	2	4	5—9	6
„სამგურალი" (წყალტუბო)	7	2	1	4	10—10	5
„მექანიკოსი" (სამტრედია)	7	1	0	6	6—13	2

შენიშვნა: ზესტაფონის „მერცხალი" მოხსნილია გათამაშებიდან და მისი შედეგები გაუქმებულია.

უყურაღლებობის გამო

თელავში გაიმართა სპორტის ტექნიკური სახეობების წარმომადგენელთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ზონალური შეჯიბრება ტყვიის სროლაში. ცეცხლის ხაზზე გავიდნენ თელავის, სიღნაღის, წითელი წყაროს, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხისა და გურჯაანის გუნდები. საგარეჯოელებმა ასპარეზობას თავი აარიდეს. პროგრამაში იყო მცირეკალიბრიანი შაშხანითა და პისტოლეტით სროლა.

ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა სიღნაღის რაიონის ნაკრები, რომელმაც პისტოლეტით და მცირეკალიბრიანი შაშხანით მცირე სტანდარტზე (3×10) სროლაში გუნდური გამარჯვება დაისაკუთრა. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა შეჯიბრებაში ყველას აჯობა წითელი წყაროს ნაკრებმა.

თელაველებმა იზრუნეს ტურნირის ორგანიზებულად ჩატარებისთვის, მაგრამ სპორტსმენთა მოთხოვნები მაინც ვერ დააკმაყოფილეს: შაშხანები არ ვარგოდა, საფენებად საჭიდაო ლენტებები გამოიყენეს, ჩოქელა სროლისთვის კი ბალიშები საერთოდ არ ჰქონდათ. ყველაფერი ეს შედეგებსაც დაეტყო. წოლილა სროლაში გამარჯვებულმა წითელი წყაროს გუნდმა 300-დან 185 ქულა ძლივს მოაგროვა, პირადტურნირში უძლიერესმა დ. უძიანურმა (ახმეტა) კი 100-დან 27 ქულა დაკარგა.

სტანდარტზე მსროლელებიდან წოლილა შეჯიბრებაში ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ყვარლელ ეკატერინე გელაშვილს — 79 ქ. მანვე მოიგო სტანდარტში ქალთა შეჯიბრება — 196 ქულა და საერთო ტურნირში ჩამორჩა მხოლოდ ვაჟთა შორის უძლიერესს ა. მჭედლიშვილს (სიღნაღი) — 200 ქ.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ რაიონებში ტყვიის სროლის დანერგვას სათანადო ყურადღება არ ეთმობა. ტარი მხოლოდ თელავშია. ამ შეჯიბრისთვის გუნდები სახელდახელოდ, ნაჯირობის მოყვარულებით დააკომპლექტეს. მონაწილე კოლექტივებიდან ბევრმა სრული გუნდის გამოყვანა ვერ შეძლო, არ ჰყავდათ ქალები, ჭაბუკები.

დოდო გელაშვილი.

(ჩვენი ხაეც. კორ.).

თელავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფად, შინაარსიანად, საინტერესოდ...

დასასრული

სიმაღლემ არ შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს გადამწყვეტი თამაშების შედეგებზე. ასევე არ უთამაშია მას რაიმე მნიშვნელოვანი როლი ჯგუფებში გამართულ მატჩებშიც.

ახპარეზობის პირველი ნახევრის მოულოდნელობად უნდა ჩაითვალოს ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და შვეიცის ნაკრები გუნდების წარუმატებლობა. ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელები უკვე ორი მატჩის შემდეგ მეოთხედფინალის მიღმა დარჩნენ. მათზე კი დიდ იმედებს ამყარებდნენ. ჩეხოსლოვაკიის გუნდი ახალგაზრდული კოლექტივია, მაგრამ მან დამჯერებლად ჩაატარა შესარჩევი შეხვედრები და მექსიკის საგზურები დაუკარგვინა უნგრეთის ფეხბურთელებს. მექსიკაში ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა სრული ძალით ვერ ითამაშეს.

ბედი არც ბულგარელ ფეხბურთელებს სწყალობდათ. მათ ვერ გადაჭრეს მტკიცე დაცვის შექმნის პრობლემა. ამ გუნდის თავდასხმამ ორ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა, რაც მსოფლიო ჩემპიონატისთვის ცუდი შედეგი არ გახლავთ. ამავე დროს ბულგარელებმა ბევრი ბურთი გაუშვეს თავიანთ კარში. ხხვა მიზეზი აქვს შვედების წარუმატებლობას. მათმა ფორვარდებმა ვერა და ვერ მოარგეს გასალები მეტოქის კარს. შვედებმა ერთადერთი ბურთი გაიტანეს და ისიც ისრაელის გამოუცდელი გუნდის კარში.

სასიამოვნო სიურპრიზია რუმინეთისა და პერუს გუნდების თამაში. რუმინელ ფეხბურთელებს გაუჭირდებათ რვა უძლიერესის რიცხვში მოხვედრა, მაგრამ მათ მაინც გამოცდილ ოსტატებად გაგვაცნეს თავი, როცა ინგლისელებთან სულ ერთი გოლით (0:1) წააგეს. ამასთან, მატჩი ისე წარიმართა, რომ რუმინეთის ნაკრებს წარმატების რეალური შანსი ჰქონდა.

პერუს ახალბედა ნაკრები აღიარებული ფავორიტების ღირსეული მეტოქე აღმოჩნდა. ამ გუნდს ორიგინალური ტაქტიკა აქვს. იგი ევროპელებთან შეხვედრებს დაბალ ტემპში იწყებს და თანდათან ზრდის დაძაბულობას. პერუელები თავიდან არ ჩქარობენ, ხოლო როცა დალლილი მცველები რეაქციის სიხშირეს კარგავენ, მათი თავდამსხმელები მეტ აქტიურობას იჩენენ და იერიშებს აძლიერებენ. პერუს სპორტსმენები ათლეტური ფეხბურთის წარმომადგენლები არიან. თავდამსხმელთა საშუალო სიმაღლე 180 სანტიმეტრია და ზოგიერთი მათგანი 100 მეტრის გარბენას 11 წამს არც კი ანდომებს. რაც შეეხება თამაშის მანერას, ამ მხრივ პერუელები ტუუპის ცალივით ჰგვანან ბრაზილიელებს. ეს არც გასაკვირია — გუნდის მწვრთნელი დიდი აშკარა თაყვანისმცემელია ბრაზილიური სისტემისა, რომელიც იმითაა დამახასიათებელი, რომ იერიშის განვითარების პერიოდში „აფეთქება“ აუცილებლად ხდება კარის ახლო მისადგომებთან.

ჩემპიონატის პირველ ნახევარში გატანილია 45 გოლი — 3 ბურთით მეტი, ვიდრე ინგლისში, ორი ტურის შემდეგ, როგორც ხედავთ, დაცვითი ტენდენციების საფრთხე თანამედროვე ფეხბურთში არც ისე სერიოზული იყო.

იერიშების სწრაფი შინაარსობლივი განვითარება იმით აიხსნება, რომ გუნდების შუა რგოლი ახლა გაცილებით უფრო აქტიურად მოქმედებს. დაცვაში ფეხბურთელების სიმრავლე შეინიშნება მხოლოდ მეორე ჯგუფში, სადაც იტალიის, ურუგვაის, შვეიცისა და ისრაელის გუნდები გამოდიან. ამას მათი მეტისმეტად დაბალი შედეგიანობაც ადასტურებს (ოთხ მატჩში სულ ხუთი გოლია გატანილი).

თავის დროზე დაცვით გატაცება უხეში თამაშის განვითარებას უწყობდა ხელს. მაგრამ, საბედნიეროდ, დღევანდელი ფეხბურთი შორსაა თამაშისგან, სადაც ყველაფერი მხოლოდ მეტოქის ჩანაფიქრის ჩაფუშვისთვისაა გამიზნული. მექსიკაში მატჩები საინტერესოდ ტარდება და დიდ სიამოვნებასაც გვანიჭებს.

სარბიელზე ვნახეთ ბევრი შესანიშნავი ოსტატი, რომლებმაც ბოლო წლებში გამოიჩინეს თავი. ესენი არიან ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელები პეტრაში (ჩეხოსლოვაკია), ლიბუდა (გფრ), კუპერი (ინგლისი), ბონევი (ბულგარეთი), სოტილი და კუბილიასი (ორივე — პერუ), რივა (იტალია), კალდერონი და ლოპესი (მექსიკა).

ეს საუბარი გუნდის უფროსთან ჩვენი ფეხბურთელებისთვის კარგად ნაცნობ „ასტურიანოზე“ ჩატარდა. მექსიკური კლიმატისთვის უჩვეულო ღრუბლიან დღეს ისინი აქ ვარჯიშობდნენ. ვარჯიშობდა უველა მცველ ვლადიმერ კაპლიჩნის გარდა. ეს უკანასკნელი მკურნალობის კურსს გადის. კარში კვლავ გამოჩნდა ლეონიდ შმუცი. როგორც ჩანს, იგი ახლა საუკეთესო ფორმაშია და იმედი აქვს, რომ თავის პირველ მატჩს ჩაატარებს სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში.

ვერც კი მოვასწარით დამშვიდობებისას მადლობა გადაგვეხადა სტაროსტინისთვის, რომ მას შეკითხვებით მიმართა გაზეთ „ოვახიონესის“ კორესპონდენტმა. ერთ-ერთი შეკითხვა ასეთი იყო: „შეიცვლება თუ არა სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობა სალვადორის გუნდთან მატჩში?“

— ვფიქრობ, არც იმდენად, — უპასუხა ჩვენი ნაკრების უფროსმა. — იმ 16 ფინალისტის რიცხვში, რომლებიც მექსიკაში თამაშობენ, სუსტი მეტოქეები არ არიან.

ე. ბირუნი, ა. კაჩალოვი,
ე. სარატოვი.

(საკდესის სპეც. კორ.).

მეხიკო.

8 ჩემპიონატის ჯამში

	თ.	ს.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ბრაზილია	8	32	20	5	7	84—32	45
გერმანია	6	28	16	5	7	70—45	37
ურუგვაი	5	20	12	3	5	52—28	27
იტალია	6	20	12	2	6	38—22	26
ინგლისი	5	20	8	6	6	30—24	22
ჩეხოსლოვაკია	5	19	8	3	8	30—29	19
სსრ კავშირი	3	15	8	2	5	24—19	18
შვეცია	4	16	8	2	6	38—35	18
მექსიკა	6	17	1	3	13	15—5	5
რუმინეთი	3	5	1	1	3	8—12	3
ბულგარეთი	2	6	0	1	5	2—15	1
ბელგია	4	6	0	1	5	8—20	1
პერუ	1	2	0	0	2	1—4	0

შენიშვნა: პირველ სვეტში ნაჩვენებია, თუ რამდენჯერ მონაწილეობდა ესა თუ ის კოლექტივი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში. მსოფლიოს პირველ 4 ჩემპიონატში თამაშობდა გერმანიის გუნდი, 1950 წლის შემდეგ კი — გფრ.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში პირველად მოხვდნენ სალვადორის, ისრაელისა და მაროკოს გუნდები, ამიტომ ისინი ცხრილში არ არიან შეტანილი.

მსოფლიო ჩემპიონატი
მექსიკო 1970 ფეხბურთი IX México

ორი პირველობის გზაჯვარედინზე

წლევანდელი სეზონი ძალზე დაძაბული იქნება მოწინავე საბჭოთა მსროლელებისთვის. შემოდგომით ისინი ამერიკის ქალაქ ფენიქსში (არიზონის შტატი) იასპარეზებენ მსოფლიო ჩემპიონატში. ამას გარდა, ვისბადენში (გფრ) საბჭოთა იუნიორები ევროპის პირველობაშიც გამოვლენ. ამასთან დაკავშირებით სსს-ის კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა სსრ კავშირის ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელს ე. პოლიკანინს.

● როგორია სსრ კავშირის ტყვიის მსროლელთა ეროვნული ნაკრების დღევანდელი დონე?

— მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა მსროლელებმა ერთი ოქროს, ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს შედალი მოიპოვეს, რის წყალობითაც არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში I ადგილი ხვდათ. მას შემდეგ ორი წელი გავიდა, მაგრამ საბჭოთა ეროვნული ნაკრების ლიდერებმა შეძლეს ჩინებული სპორტული ფორმის შენარჩუნება. ამიტომ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში მათგან კარგ შედეგებს ველით.

სსრ კავშირის ნაკრების ხელმძღვანელთა განკარგულებაშია ძლიერი მეორე ეშელონიც, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებიც აშშ-ს საგზურებზე აცხადებენ პრეტენზიას. მაგალითად, ლენინგრადელ ს. ერმილოვს შარშან ევროპის ჩემპიონატში დებიუტი ჰქონდა და ნებისმიერი შაშხანით სროლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. ჩემი აზრით, შესახიშნავი სპორტული კარიერა ელის 22 წლის ორენბურგელ მსროლელს ვ. ტორშინს, რომელიც სილუეტებზე სროლაში ოსტატდება. იგივე შეიძლება ითქვას მოსკოველ სტუდენტ ვ. პოლბაკოვზე, რომელმაც იუნიორთა ევროპულ ჩემპიონატებში ორჯერ მოიპოვა გამარჯვება მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის წლევანდელი ნაკრები ვეტერანთა გამოცდილებისა და იუნიორთა ახალგაზრდული სითამამის კარგი ნაერთია.

● რას იტყვით წამყვანი საბჭოთა მსროლელების მზადების მეთოდიკაზე?

— ჩვენი სისტემა დიდი ხანია ერთ-ერთ ეფექტურ და ნაყოფიერ მეთოდად ითვლება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სიახლე მასში მაინც შევიტანეთ.

წლევანდელ სეზონში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მსროლელთა საერთო ფიზიკურ მომზადებას. თუმცა ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ მიაჩნდათ, რომ დიდ ტურნირში წარმატებისთვის მარტო სასროლეთზე ვარჯიში კმარა. მაგრამ ახლა ჩვენმა სნაიპერებმა იციან, რომ მრავალსაათიანი ბრძოლის ფიზიკურად გაძლება არც ისე იოლი საქმეა. ეს განსაკუთრებით ითქმის ვარჯიშებზე, სადაც სპორტსმენები მძიმე იარაღით გამოდიან. ამიტომ წლევანდელი სეზონისთვის მზადების პროგრამა ტანვარჯიშის დარბაზში, ნათხილამურევზე, მძლეოსნობაში ინტენსიურ მეცადინეობასაც ითვალისწინებდა.

როგორც ცნობილია, წლევანდელი მსოფლიო პირველობა ამერიკის ქალაქ ფენიქსში ჩატარდება, სადაც ამინდი არც ისე ხალსაყრელია — ძალიან ცხელა და ძლიერი ქარი იცის. ამიტომ საბჭოთა მსროლელები ამის შესაბამის პირობებში მოემზადებიან.

● საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბის რა დიდ ტურნირებში გამოვლენ საბჭოთა გუნდის ლიდერები?

— აპრილში ჩატარდა საკავშირო ასპარეზობა თბილისში, მაისში — საერთაშორისო ტურნირი მოსკოვში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის, გდრ-ის, აშშ-ს, გფრ-ისა და შვეიცის გუნდებმა. ამ ზაფხულს ოდესაში ჩატარდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, რომლის შემდეგაც საბოლოოდ დავაზუსტებთ ეროვნული გუნდის შემადგენლობას.

● რა აზრისა ხართ უცხოელ მეტოქეებზე?

— მსოფლიო ჩემპიონატში ყველაზე სახიფათო მეტოქეები უთუოდ მასპინძლები — ამერიკელი მსროლელები იქნებიან. მოგაგონებთ, რომ 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მათ აჯობეს საბჭოთა სნაიპერებს, ოთხი წლის შემდეგ კი მეხიკოში მარცხი იწვნიეს. რასაკვირველია, ახლა ისინი რევანშის აღებას შეეცდებიან.

კარგი შანსი აქვთ დასავლეთგერმანელ მსროლელებსაც. ისინი განსაკუთრებით ძლიერნი არიან სამატრო პისტოლეტით სროლაში და მცირეკალიბრიან სტანდარტში. მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამის ცალკეულ ნომრებში სახიფათო მეტოქეები იქნებიან პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცის მსროლელები.

ერთი სიტყვით, მეტოქეობა, როგორც მუდამ, ძლიერი იქნება, და მაინც, საბჭოთა გუნდის წარმატებისა მწამს.

თერთმეტი — ფინალში

ბიდგოშჩსა (პოლონეთი) და პარდუბიცეში (ჩეხოსლოვაკია) გაიმართა წიდფვან ბილიკზე მოტორბოლაში მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალები, რომლებსაც ევროპის პირველობის ფინალისტებიც უნდა შეერჩია. კონტინენტის ჩემპიონატში საუკეთესონი მსოფლიოში უძლიერესის სახელისთვის ბრძოლას გააგრძელებენ. პარდუბიცეში ჩატარებული ტურნირის შედეგს უკვე ვიტყობინებოდით, რაც შეეხება ბიდგოშჩს, აქ საუკეთესო შედეგი მოიპოვა გ. კურილენკომ. მას ოდნავ ჩამორჩა იუნიორებში ევროპის ჩემპიონი, თბილისელი გ. გორდეევი. მათ გარდა შემდგომი ბრძოლის უფლება მოიპოვეს ვ. კონონოვიჩმა, ბ. ცეხანოვიჩმა, ვ. კალმიკოვმა. ამრიგად, ევროპის ჩემპიონატში მედლებისთვისა და მსოფლიო პირველობის საგზურისთვის სსრ კავშირის 11 სპორტსმენი აგრძელებს ბრძოლას. აღინიშნულთა გარდა ესენია: ვ. კლიმენტიევი, ვ. სმირნოვი, ი. დუბინინი, გ. აჩსენოვი, ვ. ტროფიმოვი, ბ. ხლუნოვსკი.

კონტინენტის ჩემპიონატის ფინალი ბაბელსბერგში (გფრ) გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ფრე გამარჯვებას უდრის



ბ. ონაშვილი.

„ლენინური ინტერვიუ"

გივი ონაშვილის სპორტული ბიოგრაფია შედარებით ხანმოკლეა, მაგრამ ახალგაზრდა ათლეტს უკვე კარგად იცნობენ ძიუდოს მოყვარულები. ჭაბუკმა ბოლიათმა რამდენიმე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. თბილისელმა მაყურებელმა ნიჭიერი ფალავანი ამ რამდენიმე წლის წინათ გაიცნო: საქართველო—იაპონიის ძიუდოისტთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრაში. სპორტის მოყვარულთათვის ნაკლებად ცნობილმა მოჭიდავემ ტოლი არ დაუდო ძიუდოს სამშობლოს სახელმოხვეჭილ წარმომადგენლებს და თავისი ჩინებული სპორტული მონაცემებით, ვაჟკაცური და გაბედული მანერით უშალ მოიპოვა გულშემატკივართა ალიარება.

ქართველმა მაყურებელმა კი კარგად იცის ნამდვილი ჭიდაობის ყადრი... როცა დასავლეთ გერმანიის ქალაქ ესენიდან მოვიდა ცნობა, რომ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატში ონაშვილმა მძიმე წონის ათლეტთა შორის ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, ჭიდაობის თაყვანისმცემლებისთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა. მომდევნო წლებში ონაშვილმა კიდევ ბევრჯერ გაახარა თავისი მრავალრიცხოვანი ქომაგები. ახლახან ქართველმა ფალავანმა წარმატებით იასპარეზა ბერლინში გაშარული ევროპის ჩემპიონატში. სხვა საბჭოთა ძიუდოისტებთან ერთად მან დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი გუნდის გამარჯვებაში. სხვათა შორის, კონტინენტის ჩემპიონის სახელი სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა უკანასკნელად ამ სამი წლის წინათ მოიპოვა. საბჭოთა ძიუდოისტების „ახალმა ტალღამ" ჩვენს ქვეყანას კვლავ დაუბრუნა უძლიერესის სახელი. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება ონაშვილის აზრი ახლად დამთავრებული ჩემპიონატის შესახებ.

● გივი, როგორი შთაბეჭდილება დატოვეს პირველობის მთავარმა ფავორიტებმა?

— ვიდრე ამ კითხვაზე პირდაპირ გაგცემდეთ პასუხს, ვიტყვი, რომ ისეთ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში, როგორიც ევროპის ჩემპიონატია, მონაწილეთა ლიდერებად და აუტსაიდერებად დაყოფა პირობით ცნებად იქცა. უკანასკნელ წლებში ძიუდომ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ევროპის ბევრ ქვეყანაში. იყო დრო, როცა ამ სახეობის ჰოლანდიური სკოლა აშკარად ძლიერი იყო დანარჩენებთან შედარებით. ახლა კი მონაწილე სპორტსმენთა კლასი თითქმის გათანაბრდა. განსაკუთრებული პროგრესი ეტყობათ ფრანგებსა და გერმანელებს.

● გადამწყვეტ შეხვედრად ძიუდოს სპეციალისტებმა საბჭოთა კავშირ-ჰოლანდიის მატჩი დაასახელეს...

— ჩვენი შეხვედრა ჰოლანდიელებთან მართლაც ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი იყო. ამ შეხვედრამდე ორივე გუნდი დაუმარცხებლად მივიდა. ჰოლანდიელი და საბჭოთა ძიუდოისტები კარგად იცნობენ ერთმანეთს. ჩვენი შეხვედრები ტრადიციულად დაძაბული და საინტერესოა. ასე იყო ახლაც. ბოლო შეხვედრამდე შეუძლებელი იყო გამარჯვებულის დასახელება. საკმარისია ითქვას, რომ ჰოლანდიელთა გუნდში გამოდიოდნენ მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში ვ. რიუსკა, ცნობილი ძიუდოისტები, ძმები ი. და პ. სნაიდერსები... ჰოლანდიელები ფიქრობდნენ (და არც თუ უსაფუძვლოდ), რომ გამარჯვება მათ დარჩებოდათ. მართლაც, პირველი ორი შეხვედრა ჩვენმა მეტოქეებმა მოიგეს. მაგრამ ეს იყო მათი ბოლო წარმატება. საბჭოთა გუნდმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ მას დღესდღეობით ევროპაში ტოლი არ ჰყავს.

● რამ განაპირობა ჩვენი გუნდის გამარჯვება?

— წარმატებაში გუნდის ყველა წევრმა შეიტანა თავისი წვლილი, განსაკუთრებით ძლიერად იასპარეზა ჰოლანდიელებთან მატჩში ცნობილმა საბჭოთა ძიუდოისტმა ა. ბონდარენკომ. როცა ანგარიში 2:0 იყო ჰოლანდიელთა სასარგებლოდ, მან, როგორც იტყვიან, პირველმა გატეხა ნავი და მკვეთრად შეცვალა შეხვედრის მსვლელობა. რადგან ფსიქოლოგიური ბარიერი ბონდარენკომ დასძლია, სხვა საბჭოთა ძიუდოისტებსაც განუმტკიცდათ გამარჯვების რწმენა. ორიოდე სიტყვა ამ პრინციპული შეხვედრის შესახებ. ბონდარენკოს მეტოქე ი. სხაიდერსი კარგად არის ცნობილი ძიუდოს სამყაროში. იგი მოიერიშე სტილის ათლეტად ითვლება. ჰოლანდიელმა ეს ბრძოლაც გააფთრებული იერიშით დაიწყო. ბონდარენკომ ამ იერიშებს გააზრებული დაცვა და მწვავე კონტრშეტევა დაუპირისპირა, რამდენიმე ეფექტური ილეთი ჩაატარა. ერთ-ერთმა ასეთმა ილეთმა მას წმინდა გამარჯვება მოუტანა. არც იანის ძმას პიტერს სნაიდერსს დაადგა კარგი დღე. ჩვენი გუნდის წამყვანმა წევრმა ვ. პოკატაევმა ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა თავის გამოცდილ მეტოქეს და ჭულების დიდი მარაგით დაამარცხა იგი. ანგარიში გათანაბრდა...

● ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა გადაწყვიტა მძიმე წონის ათლეტთა შეხვედრას?

— ნამდვილი სპორტსმენი ვალდებულია ყველა შეხვედრას თანაბარი პასუხისმგებლობით მოეკიდოს. მაგრამ არის ბრძოლები, რომელთა შედეგებზეც დამოკიდებულია არა მარტო სპორტსმენის პირადი წარმატება, არამედ კოლექტივის ბედ-იღბალიც. ჩემი აზრით, გუნდურ ასპარეზობაში გამოსვლა დამატებით პასუხისმგებლობას აკისრებს სპორტსმენს. ეს კარგად ვიგრძენი, როცა გადამწყვეტ შეხვედრაში მსოფლიო ჩემპიონ ვ. რიუსკას პირისპირ დავდექი. ამ ბრძოლაში ფრეც მაძლევდა ხელს (წმინდა მოგებათა წყალობით საბჭოთა გუნდს უპირატესობა ჰქონდა).

ჰოლანდიელი მხოლოდ მოგებისთვის იბრძოდა: ექვსწუთიანმა დაძაბულმა შეხვედრამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა.

არა, ამ შეხვედრამ გამოავლინა გამარჯვებული. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ფრე ხშირად გამარჯვებას უდრის. ასე იყო ამჯერადაც. არ იფიქროთ, თითქოს ქართველი მოჭიდავე ჰოლანდიელთან შეხვედრაში მხოლოდ დაცვაზე ფიქრობდა. უბრალოდ, ორივე მეტოქე თანაბარი ძალისა აღმოჩნდა.

ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, რაზეც გ. ონაშვილს არაფერი უთქვამს: ევროპის გუნდურ ჩემპიონატში ჩატარებული ხუთი შეხვედრიდან მან ოთხი წმინდად მოიგო.

რაც შეეხება პირად პირველობას, იგი ონაშვილისთვის უიღბლო გამოდგა. სერიოზული ტრავმის მიუხედავად ქართველი მოჭიდავე მაინც გამოვიდა საჭიდაო ხალიჩაზე და პირველივე წრეში გამოეთიშა შეჯიბრებას.

ა. გოგელია.





მოგების ფაურვილით

ამას წინათ კიოლნის (გფრ) იპოდრომზე უჩვეულო „შეჯიბრება" ჩატარდა. ორგანიზატორებმა მოისურვეს დაედგინათ: 400 მეტრს ადამიანი უფრო სწრაფად გაირბენს, ცხენი თუ ძაღლი. სტარტზე გამოვიდნენ: მეძებართა შეჯიბრებაში ორგზის გამარჯვებული „სკანდალი 112-ე", „ფერაფინა"—მოკლე დისტანციებზე კარგი შედეგებით ცნობილი დოღის ცხენი, დასასრულს — ფოლკერ კოტმანი — გფრ-ის ჩემპიონი 400 მეტრზე წინაღობებით რბენაში. სტარტზე დაწინაურდა „ფერაფინა", მაგრამ უკვე 30-ე მეტრზე ძაღლმა საათში 67 კმ სისწრაფით ჩამოიტოვა ცხენი. ადამიანს გამარჯვების ალარავითარი შანსი არ რჩებოდა.

საფინიშო ხაზი პირველმა ძაღლმა გადაკვეთა. მან 400 მეტრი 25,3 წამში გაიარა, „ფერაფინა" ფინიშთან მეორე იყო — 28,1, ბოლო ადამიანი ჯერ კიდევ მირბოდა. მისი შედეგია 53,2 წამი.

საკითხავია, რა მიზანი ჰქონდა ამ შეჯიბრებას? რასაკვირველია, ასეთი სანახაობა სპორტული შედეგების გარკვევის მიზნით არ ეწყობა. ეს შედეგები წინასწარვე შეიძლებოდა დაედგინათ. ორგანიზატორები დაინტერესებული იყვნენ მხოლოდ მოგებით (ამ უჩვეულო ტურნირის სანახავად დიდძალმა მაყურებელმა მოიყარა თავი). ფულის გულისთვის კი ზოგჯერ რას არ კადრულობენ.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: უჩვეულო შეჯიბრების მონაწილენი.
ფოტო „აქტუელტ" — აას-ისა.



დუეტი: „მოცურავე გიტარა"

ორმა ამერიკელმა მოზარდმა „ზღვაოსანმა" ორიგინალური მოგზაურობის მოწყობა გადაწყვიტა. კალიფორნიის შტატის მკვიდრმა უმაწვილებმა ააგეს გიტარის ფორმის ნავი, მაგრამ წყნარი ოკეანის სივრცეთა დაპყრობა აზრადაც არ მოსვლიათ. არა, მათ უფრო მოკრძალებული და იოლად მისაწვდომი მიზანი აქვთ დასახული. სურთ კიდევ ერთხელ გაუთქვან სახელი მუსიკის ბითლზებს და თავიც გამოიჩინონ.

ფოტო ჟურნალ „ორხაგ ვილაგიდან". ბუდაპეშტი.

ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

● ტულა, 9 ივნისი. აქ მიმდინარეობს ველოსიპედისტთა საერთაშორისო ასპარეზობა, რომელშიც გამოდიან აშშ-ს, ბულგარეთის, გდრ-ის, დანიის, იტალიის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და უნგრეთის უძლიერესი სპორტსმენები. ერთ კილომეტრზე რბოლაში ყველაზე სწრაფი გამოდგა სსრ კავშირის რეკორდსმენი ამ სახეობაში ა. აგაპოვი — 1.10,07.

● ბალატონ-სეპლაკი, 9 ივნისი. უნგრეთის ამ საკურორტო ქალაქში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა ტ. ზატულოვსკაიამ — 9,5 ქულა (13-დან). II-III ადგილები დაიკავეს უნგრელებმა ჟ. ვერეცკიმ (8,5) და მ. პორუბსკიმ (8).

● ოლშტინი (პოლონეთი), 9 ივნისი. აქ გაიმართა ცხენოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრის პრიზი მოიხვეჭა მ. კოზიცკიმ (პოლონეთი). საბჭოთა მხედარი ი. ზიაბრევი მესამე იყო. ასპარეზობაში 7 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობენ.

ᲯᲔᲠ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲨᲘ, ᲛᲔᲠᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲨᲘ

ბერლინი, 9 ივნისი. დღეს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიწყო მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრების პირველი წრე საბჭოთა ათლეტებმა წარმატებით გაიარეს.

უმჩატეს წონაში აზერბაიჯანელმა რ. გაჯიევმა წმინდად მოუგო იტალიელ ბალეტოს. ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ერევნელმა პ. მალიანმა (ქვემსუბუქი წონა) დროზე ადრე დაამთავრა შეხვედრა დასავლეთგერმანელ ნეფთან. ასევე წმინდად მოიგო შეხვედრა თბილისელმა ზ. ბერიაშვილმა (მეორე ქვესაშუალო) ბერძენ პალასკასთან.

პირველ წრეში აშკარა უპირატესობას მიაღწიეს: ევროპის ჩემპიონმა თბილისელმა ნ. ხოხაშვილმა (პირველი ქვესაშუალო) თურქეთის გუნდის წევრ აკბადისთან, ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს ჩემპიონმა კიეველმა ბ. გურევიჩმა (მეორე საშუალო) — შვეიცელ ანდერსონთან და კრასნოდარელმა ი. იარიგინმა (ქვეძმიმე) — რუმინელ ბალოგთან.

ერთ შეხვედრაში აღინიშნა ქულებით გამარჯვება: ყაზანელმა მარკელოვმა (მსუბუქი წონა) დაამარცხა უნგრელი ჩაბა.

წარუმატებელი სტარტი ჰქონდათ მოსკოველ გ. დმტრიევს (მრატე) და თბილისელ ლ. თედიაშვილს (პირველი საშუალო). მოსკოველმა წააგო ევროპის ჩემპიონთან, ბულგარელ ბაევთან, ხოლო თბილისელმა — გდრ-ს გუნდის წევრთან სტოტმაისტერთან.

ჩემპიონატი ტარდება „დინამო—შპორტჰალეს" დარბაზში, სამ ხალიჩაზე. ასპარეზობაში 22 ქვეყნის 300-ზე მეტი ათლეტი მონაწილეობს. ფინალური შეხვედრები გაიმართება 11 ივნისს. მეორე დღეს კი სარბიელზე გამოვლენ კლასიკური სტილის მოჭიდავეები — მათაც უნდა გაითამაშონ ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები.

ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ

თავიდან რომ აიცილონ უსიამოვნება, როცა გაავებული გულშემატკივრები მატჩების დროს მსაჯებს ლაყე კვერცხებსა და ცარიელ ბოთლებს ესვრიან, მექსიკის სტადიონებზე, იქვე ტრიბუნებთან, ჩამოკიდებულია ქვიშით სავსე ტომრები წარწერით — „მსაჯი".

ასეთმა პრაქტიკამ კარგი შედეგი გამოიღო. ვერ-კრუსის სტადიონზე ტომარა რამდენჯერმე შეარემონტეს, მსაჯები კი ყოველთვის უვნებელნი რჩებოდნენ.

ᲕᲘᲡ ᲠᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ

სპორტული ფსიქოლოგიის ინგლისელმა სპეციალისტებმა გამოთვალეს, რომ სტადიონზე მაყურებელთა 58 პროცენტი მოდის ნამდვილად მატჩის სანახავად, 40 პროცენტი, რათა გაერთოს და ცოტა იყვიროს კიდეც, ორი პროცენტი კი იმ მიზეზით, რომ მისთვის სულ ერთია, სად გაატარებს თავისუფალ დროს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. „სინათლის" სტადიონი. **ᲓᲦᲔᲡ.** საქართველოს პირველობა. „სინათლე" (თბილისი) — „ბახმარო" (ჩოხატაური). დასაწყისი 18 ს.